# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/12

ქ. თბილისი

11 თებერვალი 2026 წ.

**სტუ-ის ზოგიერთი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დასახელების შეცვლის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის საბჭოს, 2026 წლის 9 თებერვლის სხდომის №7 ოქმის, უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 11 თებერვლის სხდომის №7 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 11 თებერვლის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მიღებული იქნეს უნივერსიტეტის სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის საბჭოს წარდგინება და ფაკულტეტის „გეოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შეეცვალოთ დასახელება და ეწოდოს „გამოყენებითი გეოლოგია“.

2. მიღებული იქნეს უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს წარდგინება და ფაკულტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შეეცვალოთ დასახელება და ეწოდოს „ქიმიური პროცესების ტექნოლოგია“.

3. . მიღებული იქნეს უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს წარდგინება და ფაკულტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შეეცვალოთ დასახელება და ეწოდოს „ფარმაცევტული ტექნოლოგია“.

4. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 11 თებერვლიდან.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**